პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 29 დეკემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

წითელი არმიელი

295 (993) | 1 და 2 პართული მსრ. დივ. პოლიტ-განების უთვალწდიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქ. №16 ტელეფონი 2—24 განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

წითელ არმიელი და საბჭოების ხელახალი არჩევნები.

მალე მთელ საქართველოში დაიწყება საბჭოების ხელახალი არჩევნები. მუშებთან და გლეხებთან ერთად ამ არჩევნებში აგრეთვე აქტიური მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ძირები, ისე ცალკეებად შემადგენლობის წითელ არმიელებიც. ჩვენი წითელი ჯარი უკვე შეუდგა თავისი წარმომადგენლების არჩევას საბჭოში.

საბჭოთა ხელისუფლების და ჩვენი პარტიის ამოცანაა, რათა საბჭოების ხელახალი არჩევნები ჩატარდეს რაც შეიძლება მეტი წარმატებით და ნაყოფიერებით, რომ მასში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს ყოველმა მუშამ და გლეხმა, რომ არჩევნებმა მოგვცეს საქმიანი, ენერგიული და მშრომელი ხალხის ერთგული და თავდადებული საბჭოები.

ამიტომაც მიმდინარე საბჭოთა ხელახალ არჩევნებს ყოველი წითელ არმიელი დიდის ყურადღებით და სერიოზულობით უნდა მოეპყრას.

წითელ არმიელი ისეთივე მოქალაქეა საბჭოთა სახელმწიფოსი, როგორც ყოველი მშრომელი. ის ისეთივე საარჩევნო უფლებებით სარგებლობს, როგორც ქარხნის მუშა და სოფლის მშრომელი გლეხი.

განა ასეთ მდგომარეობაშია კაპიტალისტური არმიების ჯარისკაცები. არა. ბურჟუაზიულ ქვეყანაში ჯარისკაცი მოკლებულია ყოველგვარ საარჩევნო უფლებებს. ის მხოლოდ შეუგნებელი მერმარია, რომელმაც უნდა დაიცვას კაპიტალის ინტერესები და სისხლი დაღვაროს ბურჟუას ჯიბის განსაკლებლად. პოლიტიკას იმპერიალისტური არმიის ჯარისკაცი დაშორებულია, ის აღზრდილია, როგორც უსულო მანქანა, რომელიც ხმა ამოღებლივ უნდა იცავდეს ბურჟუაზიის ბატონობას და ესროდეს თავის ძმებს—მუშებს და გლეხებს. კაპიტალისტებმა იციან, რომ თუ ჯარისკაცმა ხელი მიჰყო პოლიტიკას, დაინტერესდა საზოგადოებრივ ცხოვრებით და მუშაობით, მიიღო მასში აქტიური მონაწილეობა, მაშინ ეს ჯარისკაცი აღვილად შეეგნებს თავის ე. ი. მუშების და გლეხების ინტერესებს და აღარ იქნება უკვე ბრმა იარაღი მყვლეფელების ხელში. აი რატომ ყვს ბურჟუაზიას თავისი ჯარისკაცი ჩამოცილებული ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას.

ჩვენში კი საბჭოთა ქვეყანაში წითელარმიელი საბატო წევრია ჩვენი მუშაურ-გლეხური ოჯახისა.

ის არა მარტო მებრძოლია არამედ სოციალისტური აღმშენებელიც.

ამიტომაც ყოველმა წითელ არმიელმა უნდა გამოიყენოს თავისი უფლებები. ის უნდა დაინტერესდეს საბჭოს მუშაობით, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მასში, მიუთითოს მუშაობის ნაკლზე და სხვა. წითელარმიელმა უნდა ეცადოს, რომ საბჭოში გაიყვანოს საქმიანი, ენერგიული, მუშაობის მოყვარე დელეგატები. ვინც საუკეთესო მებრძოლია, ვინც ნაწილის საუკეთესო მშენებელია, ვინც მუშების და გლეხების ერთგული შვილია—აი ის უნდა გაგზავნონ თავის წარმომადგენლად წითელარმიელებში.

საწრეო მუშაობა.

საზამთრო პერიოდის განმავლობაში უნდა მიექცეს ყურადღება წრეების მუშაობის გაცხოველებას. სამაბაკოდ გასცლამდის წრეები უნდა იქნენ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულნი და მათი მუშაობა უნდა იყვეს თვალსაჩინო. აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება წრეების რიცხობრივ შემადგენლობას: უნდა ვეცადოთ რომ წრეებში ჩაბმულ იყვნენ ყველა წითელ არმიელნი; „არც ერთი წითელ არმიელი წრის გარეშე“—ი საღღისო ლოზუნგი.

ეს არ ნიშნავს, რომ ლენკუთხეებში უნდა შემცირდეს მუშაობა,

სინამდვილემ დაგვანახა, რომ ლენინის კუთხეში მუშაობა თანდათან დადგა სწორე ნიადაგზე, მუშაობა გამოკეთდა. ეხლა კი დრო არის, რომ წითელ არმიელთა მასა ჩავიბათ უშუალოდ საწრეო მუშაობაში და მივსცეთ საშვალება დაკმაყოფილონ თავის მოთხოვნილება, შეავსონ ცოდნა. შემდეგში ჩვენ მათ გამოვიყენებთ სამუშაოდ ლენკუთხეებში.

საწრეო მუშაობის გაფართობა გვავალებს მოვეპყრათ ამ საქმეს დაკვირვებით, აჩქარებამ ამ დარგში შეიძლება მოგვიტანოს ზიანი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ განვითარების და მომზადების მხრივ ეხლანდელი წითელ არმიელნი მაღლა სდგანან, ვიდრე წინა წლების, მაშინ აშკარად დავინახავთ, რომ საწრეო მუშაობის ჩამოყალიბება არც ისე ადვილია.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენ არ მოგვებოება დღეს-დღეობით საჭირო მეთოდიური და სახელმძღვანელო მასალაც. აგრეთვე ტეხნიკურად ნაწილები მოეწყობილნი არიან: არ არის წრეებისათვის ლაბორატორიები, სამეცადინო ოთახები და სხვა.

უპირველეს ყოვლისა ეხლავე უნდა შეუდგეთ წრეების ხელმძღვანელების შერჩევას და მათ მომზადებას. აქნამდის ამ მხარეს მუშაობისას არ ჰქონდა მიქცეული არავითარი ყურადღება. წრის ხელმძღვანელად ინიშნებოდნენ ისეთი ამხანაგები, რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი წარმოდგენა მის მუშაობაზე. წრის ხელმძღვანელი ზედმიწევნით უნდა იცნობდეს იმ დარგს, რომელშიაც მას მოუხდება მუშაობა; უნდა კარგად იცნობდეს წითელ არმიელთა მასას, რომ გაუწყოს ანგარიში ამა თუ იმ წითელარმიელის განვითარებას, მის მოთხოვნილებას უნდა ჰქონდეს სურვილი და სიყვარული საქმისადმი. თუ ხელმძღვანელი აკმაყოფილებს ყველა ამ მოთხოვნილებებს, დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ წრე, რომელსაც ის უხელმძღვანელებს, იცოცხლებს დიდხანს და გაამართლებს თვის დანიშნულებას.

არ უნდა დავგვიწყდეს, რომ ერთი ხელმძღვანელი ვერ გაუძღვება საქმეს; მას აქვს თავისი პირდაპირი მოვალეობა. თუ არ მივეცით მას **მოადგილე**, იგი მალე დაიქნცება, დაიღლება და უეჭველია ეს ავნებს საქმეს.

ე. ხუციშვილი.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ჩან-ძო-ლინმა სასტიკად დაამარცხა გო-სუნ-ლინის ჯარები.

ხმები გო-სუნ-ლინის მოკვლისა და ცნობა ჩაგდების შესახებ.

ჩან—ძო—ლინმა ტყვედ ჩაიგდო გო—სუნ—ლინის 20.000 ჯარის კაცი.

მოკდენის ფრონტზე განახლდა ბრძოლები.

ჩან—ძო—ლინსა და გო—სუნ—ლინს შორის მოხდა სასტიკი შეტაკება ქალაქ სინ—მინ—ტინის ახლოს. 20.000 გო—სუნ—ლინის ჯარისკაცი ტყვედ ჩაბარდა ჩან—ძო—ლინს. ხმებია გო—სუნ—ლინის მოკვლის შესახებ. არის აგრეთვე ხმები, რომ გო—სუნ—ლინი ტყვედ წაიყვანა ჩან—ძო—ლინმა.

ზოგიერთი ცნობები გო—სუნ—ლინის დამარცხების მიწერენ ოფიცრობის ღალატს, რომელიც მოისყიდა იაპონიამ.

ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ

სენას ოლქის შრომის უნიტარულ კონფედერაციამ (პარიზის ოლქი) წინადადება მისცა შრომის საერთაშორისო კონფედერაციას (რეფორმისტულს) შეადგინონ ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ, უნიტარული კონფედერაცია მოითხოვს კაპიტალის დაბეგვრას, სახელმწიფო მონოპოლიის გაფართოებასა და სამუშაო ხელფასის გადიდებას.

აბდ-ელ-ქერიმის საზავო პირობები

პარიზის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში აბდ-ელ-ქერიმის წარმომადგენელმა კაპიტან განნიგმა განაცხადა, რომ აბდ-ელ-ქერიმს სურს მეგობრული ურთიერთობა საფრანგეთთან და სთხოვს საფრანგეთის მთავრობას გამოსთქვას თავის ბხრივ საზავო პირობებიო, რიფები თანახმა იქნებიან ინგლისის დომინიონების მსგავს ავტონომიისა და მზად არიან გადასცენ ტერიტორიები ესპანეთს.

მისალმების დეპეშა კომუნისტურ პარტიის მე-14 ყრილობას.

კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „პრავდას“ რედაქციას ჟენევაში შემდეგი მისალმების დეპეშა მე-14 პარტყრილობისთვის გადასცემად.

ტფილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების წითელ არმიელთა და უფპოლიტშემადგენლობის საერთო კრება მხურვალე სალამს უძღვნის კომუნისტურ პარტიის მე-14 ყრილობას. ჩვენ, წითელ არმიელები, მეთაურები და პოლიტ-მომუშავენი, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კომუნისტური პარტია მომავალშიც ივლის ჩვენი მასწავლებლის და ბელადის ამხ. ლენინის გზით.

მას ვერ შეარყევს ის დისკუსია, რომელმაც თავი იჩინა მე-XIV-პარტყრილობაზე.

ის დარჩება ისევ ფოლადისებური, მთლიანი და შეუღრეკელი, როგორც იყო დღემდე.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს მე-14-ყრილობის მუშაობას.

დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი ცალკე ჯგუფების მერყეობა ვერ აიცდენს მას სწორ გზას.

კომუნისტური პარტია არის ბელადი, ხელმძღვანელი და ორგანიზატორი წითელი არმიის.

ჩვენ მას უსმენთ, მას მივყვებით და მის ძახილზე ყოველ წუთში მზად ვართ.

გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მე-14-ყრილობას!

პრეზიდიუმი.

ეს რეზოლიუცია მიღებული იქმნა 24 დეკემბერს ქართ. ნაწილ. წითელ არმიელთა და უფ-პოლიტ-შემადგენლობის საზეიმო კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავისადმი.

საფრანგეთის ზარალი მაროკოში

საფრანგეთის თემთა პალატაში კომუნისტ დეპუტატ ვაიან-კუტურიეს შეკითხვაზე სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ 5 ივლისიდან საფრანგეთმა დაჰკარგა მაროკოში 11.000 ჯარისკაცი და 419 ოფიცერი.

ვაიან-კუტურიემ განაცხადა, რომ ეს ამბავი დიდ მღელვარებას გამოიწვევს მუშებსა და გლეხებში როცა გაიგებენო.

ვაიან-კუტურიემ აღნიშნა ახანყებულთა მეთაურის აბდ-ელ-ქერიმის რწმუნებულის ჩამოსვლა პარიზში და განაცხადა: „თქვენ პორტუგომქმედნი იქნებით, თუ არ გამოიყენებთ შემთხვევას ხვის ჩამოსაგდებად“.

ამ სიტყვებმა დიდი მღელვარება გამოიწვია მთავრობის მომხრეებში, რომლებსაც კომუნისტებმა უპასუხეს ძახილით: „ძარს ომი!“

უცხო სიტყვების ახსნა.

დომინიონი—ინგლისის იმ ახალშენების სახელი, რომლებიც სარგებლობენ სხვებთან შედარებით უფრო თავისუფალ თვითმართველობით.

პრინციპი—ძირითადი სახელმძღვანელო წესი, ძირითადი აზრი.

მილიტარიზმი—სამხედრო ინტერესების გაძლიერება სახელმწიფოში; სამხედრო ძალთა გაძლიერებისკენ ლტოლვა დაპყრობის მიზნით.

რეზოლიუცია—გადაწყვეტილების, დადგენილების გამოტანა რაიმე საკითხზე.

პოლიტიკა—სახელმწიფოს ან პარტიის საზოგადოებრივი მოქმედების ხაზი საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე მიზნის მიღწევისთვის.

სპეციალური—განსაკუთრებული ხასიათის.

ფაშიზმი—წარმოიშვა იტალიაში; ის არის ბურჟუაზიის შეიარაღებული ორგანიზაცია (კავშირი), რომელიც მიმართულია მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

შრომის უნიტარული კონფედერაცია—რევოლიუციონურ პროფკავშირთა გაერთიანება საფრანგეთში.

სახელმწიფო მონოპოლია—სახელმწიფოს მიერ ვაჭრობის საკუთარ ხელში აღება.

კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XIV ყრილობა

ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა.

23 დეკემბერს სალამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. მოლოტოვი. თავის სიტყვაში ის დაწვრილებით ჩერდება პარტიის პოლიტიკაზე სოფლად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფით მხარეებიის წინააღმდეგ საჭიროა აუცილებელი ბრძოლა—ესაა პარტიის მუდმივი ამოცანა.

ამ ბრძოლაში პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ყველაზე ძნელი ამოცანა პარტიის წინაშე—ესაა საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხობის გაერთიანება და პარტიის გარშემო შემოკრება.

ჩვენი პოლიტიკის შედეგად სოფლის პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა.

საბჭოებში, კოოპერატივებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჩვენ გვყავს საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხები. მაგრამ არ კმარა ღარიბთა შეკავშირება. საჭიროა მათთან მისვლა კოოპერაციის საშუალებით და ამ გზით წინსვლა სოციალიზმისაკენ.

ჩვენი ამოცანაა ჩამოვაშოროთ საშუალო შეძლების გლეხი ბობოლას, შევკავშიროთ ღარიბები და დავმყაროთ მჭიდრო კავშირი საშუალო შეძლების გლეხობასთან.

ლენინგრადელ ამხანაგების შესახებ მოლოტოვი აცნობებს სატელეგრამო ცნობას, რომ ვიბორგის რაიონის პარტიული აქტივმა გამოიტანა რეზოლუცია, რომ ლშიაც იწონებს ყრილობის მუშაობას, მოითხოვს ლენინგრადის დელეგაციისაგან დაემორჩილოს ყრილობის სურვილებს და აგზავნის სპეციალურ დელეგაციას მისასალმებლად.

ამ ცნობას აღფრთოვანებით ხვდება ყრილობა.

ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა.

ამხ. სტალინის სიტყვას ხანგრძლივი ტაშით ხვდება ყრილობა. ის ეხება ამხ. სოკოლნიკოვისა და კამენევის სიტყვას.

ჩვენი განვითარების ძირითადი ხაზი—ამბობს—სტალინი—ამხ. სოკოლნიკოვს ვერ შეუთვისებია. სოკოლნიკოვი ზოგიერთ ჩვენს გაკვეთილებს საშეურნეო ფრონტზე ხსნის ჩვენი ძალების გადაფასებად. ეს ყალბი შეხედულებაა.

სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ ის სცდილობდა საშუალო გადასახადის უზრუნველყოფას. საკითხი სასოფლო-საშეურნეო გადასახადის შესახებ გაარჩია ცეკამ და არავითარი განსაკუთრებული წინააღმდეგობა ღარიბთა დაცვის მხრივ სოკოლნიკოვს არ შეუტანია. ეხლა კი მას სურს გამოვიდეს ამ როლში. ეს არაა სწორი და საკვირველია.

არაა მართალი კამენევის განცხადებაც, რომ ის ამბობს, რომ „იჯარისა და სამუშაო ძალის დაქირავების შესახებ ჩვენ დაუთმეთ ბობოლას“-ო. ასე მარქსიზმი, ლენინელი არ დაუსვამს საკითხს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკით ისარგებლეს და სარგებლობენ სპეკულიანტები. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ შემოგვაქვს კაპიტალისტებისა და ბობოლების გულისთვის?

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველი ლენინის სწავლების მიხედვით გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაა. ლენინი ამბობდა: თუ ჩვენთვის აუცილებელია სოფლის საწარმოო ძალთა განვითარება, ანგარიში უნდა გაუწიოთ საშუალო შეძლების გლეხობასაც. სოფელში მეტი ნაწილი საშუალო შეძლების გლეხობაა.

ჩვენი მეურნეობითი ცხოვრება უნდა ვაშენოთ ამასთან შეფარდებით. აქედან ცხადია, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოღებულ იქნა გლეხობასთან კავშირის განმტკიცების მიზნით.

აი რაშია საკითხი და არა ბობოლას მიმართ დათმობაში.

შემდეგ ამხ. სტალინი აწუხებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპიალურ მხარეებს და გადადის საკითხზე გლეხობის შესახებ.

ეხება რა ზინოვიევის წერილებს, სტალინი ამტკიცებს, რომ ზინოვიევი ვერ ახასიათებდა სათანადოდ საშუალო შეძლებს გლეხს. ლენინს აქვს გლეხობის შესახებ სამი ლოზუნგი და მესამე ლოზუნგია—მტკიცე კავშირი საშუალო შეძლების გლეხობასთან. ზინოვიევმა ეს ვერ შეამჩნია და მხოლოდ ლენინგრადის უკანასკნელ კონფერენციაზე აღნიშნა მან ამ ლოზუნგის გატარების აუცილებლობა.

სტალინი გადადის უთანხმოების ისტორიაზე, აღნიშნავს დისკუსიის მავნებლობას და საზომებს, რომელიც მიღებულ იქნა ამ ბოროტების წინააღმდეგ. ოპოზიციამ, რომელიც ლაპარაკობს ყოველგვარ სიძნელეზე, თვითონ შეიქმნა დიდი დაბრკოლება და სიძნელეები ამ დისკუსიით. მიუხედავად მთელ რიგ დათმობათა, ოპოზიციამ უარჰყო შეთანხმება. სტალინს გამოაქვს შემდეგი ძირითადი დასკვნები: პარტია მიიღწევს მთლიანობას; სპეციალური სადისკუსიო ორგანოს შექმნაზე არ შეიძლება „დათანხმება, სრულუფლებიან ჰოლიტ-ბიუროსა და ტეხნიკურ სამდივნოზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ყველაფერი უცვლელად უნდა დარჩეს მიღწეულ უნდა იქნას ლენინგრადის ორგანიზაციის სრული მთლიანობა და ლენინგრადის ორგანიზაციაც გახდება პირველი რკპ-ს რიგებში.

ამხ. სტალინის სიტყვა იფარგება ინტერნაციონალის სიმღერით.

რეზოლუცია

ამის შემდეგ ამხ. უგლანოვი კითხულობს რეზოლუციას ცეკას მუშაობის შესახებ. ამხ. კამენევი აცხადებს, რომ რეზოლუციის გაცნობის შემდეგ ლენინგრადელები უარს ამბობენ მეორე რეზოლუციის შეტანაზე. ეს განცხადება განაცვიფრებულ სიხარულს იწვევს მაგრამ, სამწუხაროდ, კამენევის შემდეგი დამატება, რომელიც მიღებულია ყრილობისთვის, ეწინააღმდეგება მის პირველ განცხადებას.

ყრილობა დიდი ხმის უმეტესობით 66 წინააღმდეგ უარყოფს კამენევის წინადადებას.

ყრილობა დიდი ხმის უმეტესობით 65-ს წინააღმდეგ ღებულობს ამხ. უგლანოვის მიერ კითხული რეზოლუციას.

სხდომა იხურება ღამის 2 საათზე.

საგანგებო საქმე.

მარჯვე მსროლელი-კარგი მეომარია.

მოკრავ მიზნებში სროლა.

ჩვენ ვიცით, რომ, თუ გვინდა მოვარტყათ რომელიმე მიზანში (სანიშანე), ჯერ ავიღოთ ამ მიზნზე დამიზნების წერტილს, კარგად დაუმიზნოთ და შემდეგ გავისვრით.

მიზნები, თავის მდებარეობისდა მიხედვით, არიან მოძრავი და უძრავი. მიზანი შეიძლება მოძრაობდეს მსროლელისკენ, მარჯვნივ, მარცხნივ ან და იხევდეს უკან, ე.ი. შორდებოდეს მსროლელს. ყველა ამ შემთხვევაში სროლის პირობები იცვლება და ეს პირობები ვერ დააკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც საჭიროა უმთავრეს მიზნების მიმართ სროლის დროს.

თუ ჩვენ დაუმიზნებთ მოძრავ სამიზნეს დამიზნების წერტილში და გავისვრით, შევამჩნევთ, რომ სანამ ტყვია მიზანდის მიადწევდეს, უკანასკნელი რამოდენიმედ მაინც წაიწევს წინ, უკან, მარჯვნივ ან მარცხნივ. ამიტომ შეიძლება ტყვია სრულიად არ გაეკაროს მიზანს. რამდენად შორს წავა ტყვია მოძრავ მიზნისაგან არ ვიცით, ვინაიდან ეს დამოკიდებულია უმთავრესად იმაზე, თუ რა სისწრაფით მოძრაობს მიზანი და რა მანძილზე იმყოფება ის მსროლელისაგან. რამდენადაც სწრაფად მოძრაობს მიზანი მსროლელისაკენ, იმდენად დიდი იქნება ტყვიის გადაწორება. რამდენადაც ჩქარა შორდება მიზანი მსროლელს, იმდენად ჩვენი ტყვია ვერ მიაღწევს მას. თუ რომ მიზანი მოძრაობს სწრაფად მარჯვნივ ან მარცხნივ, ჩვენი ტყვებაც დასცილდება მას (მიზანს) მარჯვნივ ან მარცხნივ.

რომ თავიდან ავიშოროთ ეს ნაკლი მოძრავ მიზნებში სროლის დროს, საჭიროა ამოვირჩიოთ დამიზნების წერტილი მიზნის წინ, იმ მიმართულებით, საითაც ის მოძრაობს.

თუ რომ, მაგალითად, მიზანი მოძრაობს მსროლელისაკენ, იმ შემთხვევაში დამიზნების წერტილი უნდა ამოვირჩიოთ (თუ მოპირდაპირე მსროლელისკენ) ფეხებში და რამოდენიმედ წინ. თუ რომ ის მოძრაობს განზე (მარჯვნივ ან მარცხნივ), დამიზნების წერტილი უნდა ავიღოთ მარჯვნივ ან მარცხნივ.

ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გათვალისწინებული იმის, თუ რამდენად წინ ან უკან ამოირჩიო დამიზნების წერტილი, მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც. ამიტომ ჯერ მსროლელი ირჩევს ამ დამიზნების წერტილს დაახლოებით, ასწორებს დაშვებულ შეცდომას, ადიდებს ან ამცირებს აღებულ მანძილს მიზანსა და დამიზნების წერტილს შორის.

ეს მისცემს მსროლელს შესაძლებლობას დახელოვნდეს და გაიწვრთნას დამიზნების წერტილის ამორჩევაში მოძრავ მიზნებზე, რაიც ხშირად შეხვდება მას ბრძოლაში.

ი. ბ.

მე კი გამოვიხვრე,—
მითხარი, შენ რაღას უცდი?
ჩვენ საუკუნეს გაზეთსა
ნუ თუ ხელს არ გაუწვდი?!

ადგილმდებარეობასთან შეხამება.

სამხედრო საქმეში ადგილმდებარეობის დიდი მნიშვნელობა აქვს. ადგილმდებარეობა ხან უძნელებს მეომარს მუშაობას, ხან უადვილებს. თვითეულ მეომარს უნდა შეეძლოს ადგილმდებარეობის კარგი მხარეების გამოყენება და ცუდი მხარეების თავიდან აშორება. ეი ამაში მდგომარეობს მეომრის შეხამება ადგილმდებარეობასთან.

როგორ უნდა გამოიყენოს მეომარმა ადგილმდებარეობა, ე.ი. როგორ უნდა შეეგუოს მას? თავის საბრძოლო ამოცანის ასრულების დროს, პირველ ყოვლისა, საჭიროა ისე მოქცეულ, რათა ადგილი ხელსაყრელი იყოს მუშაობისთვის (თოფისთვის დასაყრდნობი), ხოლო შემდეგ ის უნდა ჭფარავდეს მტრის თვალისა და შეძლებისდაგვარად, ტყვიებისაგან; ამას გარდა მებრძოლი დაფარულ უნდა იყოს როგორც მიწიდან, ისე ჰაერიდან თვალთვალისაგან. ამაში მდგომარეობს მეომრის უმთავრესი მოვალეობა ადგილმდებარეობასთან შეხამების საქმეში; აქ პირველი პირობაა ყოველგვარ ამაღლებული საგნისბექობის, კოლმის, ქვისა და სხვა ასეთების გამოყენება, რათა მათზე შაშხანის დაყრდნობით, შეიძლებოდეს მოხერხებულად დამიზნება და სროლა. მაგრამ არ შეიძლება მარტო იმაზე ფიქრი, რომ როგორმე დაიფაროთავი მტრის თვალთვალისა და ცეცხლისაგან: ზოგიერთი ადგილი იძლევა საუკეთესო საფარს, მაგალითად ღრმა ორმო ან ხრამი, ხშირი ტყე და მაღალი ღობე, მაგრამ მოუხერხებელია სროლისთვის, ე. ი. არ იძლევა საბრძოლო ამოცანის ასრულების საშუალებას. მაშასადამე, პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ სროლისთვის მოხერხებლობა, ხოლო შემდეგ —საფარი.

ადგილმდებარეობასთან შეხამება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გამოიყენო მისი დამცველი ფერი. მაგალითად, მოხსნულ მინდორზე ან წყნარზე მოძრაობა დამცველი ფერის ტანისამოსში ნაკლებად შესამჩნევია, ვინემ მოთიბულ, ყვითელ მინდორზე მოძრაობა.

ამ რიგად ადგილმდებარეობასთან შეხამება ჯარის ნაწილი წარმატებით ასრულებს თავის ამოცანას ზედმეტი მხვერპლის გაუღებლად.

ბ.

დეკაბრისტები.

დეკაბრისტები!

ვის არ გაუგონია ეს სახელი რუსეთის პირველ რევოლიუციონერებისა?

წელს სრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც დეკაბრისტები გამოვიდნენ გაბედულად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რატომ ჰქვიათ დეკაბრისტები?

იმიტომ, რომ მათ დეკემბერში ააფრიალეს აჯანყების დროშა.

ეს იყო 1825 წლის 14 დეკემბერს.

ეს იყო პირველი რევოლიუციონური სილა მეფის მთავრობისადმი.

ვისგან შესდგებოდენ ისინი?

ესენი იყვნენ უმთავრესად პეტერბურგის (ეხლა ლენინგრადის) გარნიზონის მხედრობა, უფრო ქვეითი გვარდიის ლეგიონების ოფიცრობა, რომელთა უმრავლესობასაც საზღვარ გარედ ჰქონდა სწავლა დამთავრებული და მონათლული იყვნენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციით, დასავლეთ ევროპის თავისუფლებით გატაცებულნი და მათი ამაყული ჯარისკაცები.

დეკაბრისტების მთავარების მრავლისობა იყო უმაღლეს დგებიდან, მაგრამ სინდისიერნი, პატიოსანნი, რომელთაც ვერ გაუძლეს გულხელდაკრეფით ეკიპრათ მაშინდელ ჯენჯოხეთურ პირობებისთვის, როცა მშრომელ ხალხს კისერზე აწვა მეფის მთავრობის მძიმე მონობის უღელი, როცა ისინი ბატონყმობის სასტიკ მუხრუჭებში გამინავდენ და ჰედავდენ ხვის ამაღლებას მჩაგვრელების წინაღმდეგ.

მათ ეძახდენ რომანტიკოსებს, „თეთრ ხელთათმანიანებს“, ისინი მარტო იყვნენ, მათ ვერ შესძლეს მშრომელ ხალხთან კავშირის გაბმა, ურომლისოდაც ყოველი რევოლიუცია დამარცხდება, ამას გრძნობდენ ისინი და ამბობდენ:

— ვგრძნობ, რომ არ გვეკუთნება გამარჯვება, მაგრამ საჭიროა ერთი შენგრევა, რევოლიუციის ტაქტიკა მოქცეულია ერთ სიტყვაში: გაბედე და თუ ეს უბედურად გათავდება, ჩვენ ჩვენი უბედურებით სხვებს ვასწავლით“-ო,—ამბობდა დეკაბრისტების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი პოეტი—მხედარი კონდრატი რილეევი.

ის არ მოსტყუვდა, მათ იცოდენ, რომ მშრომელ ხალხს დაუხმარებლად ისინი დამარცხდებოდენ, მაგრამ მათი დაქცეული სისხლი, მათი გაბედული დარტყმა შეატორტმანებდა, შეაფიქრიანებდა რუსეთის ხალხს, რაიც სწამდათ მათ და რაიც აღსრულდა შემდეგ.

მაშინ ჯერ არსად სჩანდა შემეიდროებული მუშათა კლასი; გლეხობა თუმცა აქა-იქ ახდენდა ამბოხებებს სასტიკ რეტემით შეწუხებული, მაგრამ ყოველ გამოსვლას სისხლში ახრჩობდა თვითმპყრობელობა.

რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში თუმცა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაიწყო, რომლის მეთაურადაც ვიცნობთ ამ იდეების საუკეთესო წარმომადგენელს რადიშჩევს, რომელიც იყო აგრედვე უმაღლეს წრიდან, სადაც თავისი თვალით ხედავდა თავისიანების შეუბრალებლობას მშრომელი ხალხის მიმართ.

რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში თუმცა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაიწყო, რომლის მეთაურადაც ვიცნობთ ამ იდეების საუკეთესო წარმომადგენელს რადიშჩევს, რომელიც იყო აგრედვე უმაღლეს წრიდან, სადაც თავისი თვალით ხედავდა თავისიანების შეუბრალებლობას მშრომელი ხალხის მიმართ.

პირველნი, რომელთაც ესმათ ეს ხმა და გაიმისვლენ რევოლიუციონური იდეებით იყვნენ დეკაბრისტები.

ეს ამბავი მოხდა ალექსანდრე პირველის დროს, რომლის მარჯვენა ხელად ითვლებოდა ჯელთოთობით განთქმული პირველი მინისტრი არაკჩეევი, რომელმაც ნაპოლეონის ომების შემდეგ (1812—15 წ.წ.) გადასწყვიტა თვითმპყრობელობის გამაგრება, თავისუფალ აზრის ჩაკვლა; შემოღებულ იქნა უსასტიკესი ცენზურა, ჯოჯოხეთური დისციპლინა არმიაში და სამხედრო კატორღა...

მთავრობის სისასტიკემ მოწინავე ხალხში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. დაიწყო ფარული საზოგადოებების დაარსება.

ასეთი ორგანიზაციები ძალიან გახშირდა 1816 წლიდან.

ყველაზე ძლიერად ითვლებოდა „ხსნისა ანუ ქეშმარიტ ერთგულ მამულიშვილთა კავშირი“, რომლის დამაარსებელნიც იყვნენ ძმები მურავიოვები, თავადი ტრუბეცკოი და პაველ პესტელი. ამ კავშირს ჰქონდა ოთხი ფარული სათათბირო. მთავარ როლს თამაშობდა ტულჩინის განყოფილება—„სამხრეთი საზოგადოება“ პესტელის მეთაურობით და პეტერბურგის „ჩრდილო საზოგადოება“—კ. რილეევის ხელმძღვანელობით.

ამ კავშირს ჰქონდა მიზნად დასახული სახელმწიფოებრივი ცვლილებათა მოხდენა. მათ გადასწყვიტეს თვითმპყრობელობის შესაზღუდველად, მოეხდინათ სამხედრო აჯანყება.

(გაგრძელება იქნება)

წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

დისციპლინას მტკიცე დ ციცვით.

1-ლი საკავშირო ასეული.

აგერ თვეზე მეტია, რაც წითელ ყაზარმაში მოვედით. ამ ხნის განმავლობაში კარგად გავეცანით ძველ წითელ არმიელებს, რომლებთანაც მტკიცე ამხანაგური დამოკიდებულება გვაქვს. ჯერ კიდევ ხშირად გვჭირდება მათი რჩევა-დარიგება, რასაც ისინი სიამოვნებით ასრულებენ.

ასეულში უკვე დაარიგეს საზამთრო ტანსაცმელი. ლოგინიც თბილი და სუფთად გვაქვს. ყველაფერ დაცულია ჰიგიენური პირობები.

კვირაში ორჯერ ტარდება სანიტასათი, რომელსაც დიდის ყურადღებით ისმენენ. ასევე სისტემატიურად მიმდინარეობს პოლიტმეცადინეობაც.

სპეციალურ სამხედრო საქმეში კი 15 დეკემბრიდან დავიწყეთ მუშაობა.

ასეულში ჩამოყალიბდა ახ. კომკავშირელთა ჯგუფი, რომელსაც უკვრიდი ა სხვა. გვაქვს სამკითხველო, ჟურნალ-გაზეთები სისტემატიურად მოგვდის, რომლებსაც დიდი ხალისით ეტანებიან წითელ არმიელები. პირველ რიგში ულელთვის კითხულობენ გაზ. „წითელ არმიელს".

ასეულში თითქის არა გვყავს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არმიელი, 233 ჯაშ ველო ეოდნით, ანარჩენი კი დაბალი ცოდნით დისციპლინა ნაწილში მტკიცე. თითეული წითელ არმიელი პირნათლად ასრულებს მეთაურების ყოველივე დავალებას.

წ. არმ. **დათიკო ხაჩეიშვილი.**

ჩვენც ავღნიშნეთ 1905 წ. რევოლუციის 20 წ. თავი.

მე-6 ლეგ. მე-3 ათასეული.

ათასეული ადრევე შეეცადა, რომ ამ დიდი ისტორიული მოვლენის 20 წლის თავს შესაფერად შეხვედროდა.

ათასეულის დრამატიულმა წრემ მოამზადა რევოლიუციონური პიესები. 19 დეკემბერს მოწვეული იქნა ათასეულის საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება 1905 წ. რევოლიუციის შესახებ. აღნიშნული იქნა ამ მოძრაობის უმთავრესი ეტაპები, მისი დამარცხების მიზეზები და მისი გავლენა შემდეგ მუშათა მოძრაობაზე.

მოხსენებაში ხაზგასმით იქნა აღნიშნული, ბოლშევიკური ფრთის როლი მოძრაობაში და მენშევიკების გადახრა ბურჟუაზიისაკენ.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს.

დაიდგა შესაფერი რევოლიუციონური ხასიათის პიესა აგიტლობრივ პიონერთა კლუბში. წარმოდგენას დაესწრენ, როგორც წევრებმა ოჯახის წევრები ისე სხვა მოპატიჟებული სტუმრებიც. დარბაზი სავსე იყო ხალხით. წარმოდგენამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. შემდეგისათვის ათასეულის დრამწრე გამზადებს სხვა პიესებსაც, რომლებიც დაიდგმება ადგილობრივ სახალხო სახლში.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

მეტი ყურადღება სკოლის ტახნიკურად მოწყობას.

4-ე ლეგიონის სკოლა.

ჩვენს სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად, კურსანტთა განწყობილება კარგია; ჯერ არ ქონია ადგილი დისციპლინის დარღვევას.

სამწყობრო საქმეს დამაკმაყოფილებლად ითვისებენ. პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა კარგად მიმდინარეობს.

მოეწყო ლენკუთხე. მოწვეული იქნა სკოლის საერთო კრება, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება ლენკუთხის და კედლის გაზეთის მნიშვნელობაზე, რის შემდეგ არჩეული იქმნა ლენ-ოთახის პრეზიდიუმი და სარედაქციო კოლეგია. ტარდება ხშირად ცოცხალი კითხვები და საუბრები. ჩატარებულ იქმნა პოლიტლატარეიაც.

1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავათ გაკრული იქმნა სათანადო დიაგრამები და ლოზუნგები. რედკოლეგიამ გამოუშვა სადღეღამისო კედლის გაზეთი.

არ მოგვდის მხოლოდ სომხური და ოსური გაზეთები, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს ვისაც ჯერ არს.

რომ სკოლამ შეასრულოს თავისი დანიშნულება მთლიანად, საჭიროა სკოლის ტეხნიკურად მოწყობა, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს სამხედრო ნაწილმა.

სამხკორი **შურდული.**

ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

პირველი ლეგ. მეორე ასეულის კომუჯრედი.

ოთხშაბათს 16 დეკემბერს შესდგა აღნიშნული კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო უპარტიო წითელმოლაშქრეებიც. თავმჯდომარეობდა წ. მოლ. ამხ. დოლიძე და მდივნობდა ამხ. ვეფხვაძე. კრების მთავარ საკითხს წარმოადგენდა მოხსენება სრულიად საქართველოს მე-4 პარტყრილობის მუშაობაზე.

ამ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ავაქოვი და გაუშუქა კრებას ყოველივე ის, რაც შედგენედა ყრილობის მთავარ სამუშაოს. შემდეგ თანამომხსენებლით გამოდის ამხ. ლოგუა.

კრებაზე დიდ აქტივობას იჩენდენ წითელ არმიელები სხვა და სხვა შეკითხვებით, კამათში მონაწილეობის მიღებით და სხვა. შემდეგ იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიდაც ნათქვამია, რომ კრება ყოველმხრივ ხელს შეუწყობს ყრილობის დადგენილებების გატარებას ცხოვრებაში.

წით. არმ. **ვეფხვაძე.**

1-ლი ლეგ. 3-მე ასეული

ამას წინად ასეულში მოწვეული იქნა ახკომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული კრება პარტიის წევრებსა და კანდიდატებთან ერთად. კრებამ მოისმინა პირველად ჯგუფის ორგანიზატორის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ, რომელიც არ სცნო კრებამ დამაკმაყოფილებლად. ამხანაკს მრავალ შეცდომებზე მიუთითეს, რომელიც არ უნდა ყოფილიყო დაშვებული ენერგიული მუშაობის პირობებში.

კრებამ აირჩია ახალი ორგანიზატორი და მისცა სამუშაოდ შესაფერი დირექტივები.

დასასრულ მოვისმინეთ აგრეთვე მოხსენება კომკავშირის მნიშვნელობაზე. უმთავრესად მოხსენებას მიზანში ყვედა ახალწვეული ამხანაგები, რომელებზედაც მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და მრავალ შეკითხვებს აძლევდენ.

სამხკორი **ვ. ჩ—ლი.**

ბაშურის წერტის უჯრედი.

წერტზე წვევამდელთა მოსვლისთანავე, მოწვეული იქნა ახკომკავშირის წევრების დახურული კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება, წვევამდელთა შორის მუშაობაში კავშირის ამოცანებზე და სხვა.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო ყველა ამოცანებს და დასასრულ მოუწოდა ამხანაგებს თავისი ენერგიული მუშაობით მაგალითი აჩვენონ უპარტიო მასას.

არჩეული იქნა კავშირის მბურო. რის შემდეგ მიმდინარე საკითხებში შემოტანილი იქნა წინადადება, რომელიც მოითხოვდა კავშირის იმ წევრების დასჯას, რომლებმაც დაარგვიანეს და ვერ გამოცხადდენ თავის დროზე.

კრებამ მიზნად დაისახა აგრეთვე წერტზე კედლის გაზეთის გამოშვება და წვევამდელებისათვის უფასო სალამოების მოწყობა.

სამხკორი **მეთვალყურე ლეკი**

აბაშის წერტის კომკავშირის ჯგუფში.

აბაშის წერტზედ ამ რამოდენიმე კვირის წინად დაარსდა ახ. ლენ. კომ. კავშირის ჯგუფი. 17 დეკემბერს, შესდგა უჯრედის ღია კრება. კრებას მთელი უპარტიო წვევამდელთა შემადგენლობა დაესწრო. დღის წესრიგში იდგა: 1—ჯაშთურის კონცესია. ამ კითხვაზე, მოხსენება გააკეთა ამხ. ცხადაძემ, რომელმაც გასაგები და მდაბიო ენით განუმარტა კრებას ჯიათურის კონცესიის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელი ზუსტი პასუხს აძლევდა. წვევამდელები ძალიან დაინტერესებული უსმენდენ მოხსენებას.

უსურვოთ წერტის ჯგუფს, რომ ასეთი კრებები ხშირად გაემართოს და მით დაინტერესებიოს უპარტიო ახალგაზები.

გარდა ამისა წერტზე ახ. ლ. კ. კ. თანასწორით გამოცემის აგრეთვე კედლის გაზეთი, რომლის პირველი ნომერი უკვე გამოშვებულია. გაზეთის მუშაობაში უპარტიო ამხანაგებიც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

—ძე.

ახალწვეულები ჩაებენ კულტურულ მუშაობაში

5-თე ლეგ. 3 მე ტყვიამფრქ ასეული

ასეულში მოსვლისთანავე ჩვენმა ახალწვეულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს კულტურულ განმანათლებელ საქმიანობისადმი და ყველა შეუდგა მუშაობას. მას შემდეგ მოყოლებული დიდ აქტივობას იჩენენ ამხანაგები სხვა და სხვა წრეებისა და კუთხეების მოწყობაში.

ამ დღეებში ამხანაგების უახლოესი მონწილეობით გამოვიდა საკმაოდ ლამაზად დაწერილი და კარგი შინაარსის კედლის გაზეთი. დაარსებული იქნა აგრეთვე დრამატიული წრე, რომელიც ყველ შეუდგა მუშაობას. ლენინს კუთხეებთან ერთად დაარებული იქნა აგრეთვე სამხედრო კუთხეები, რომელებიც არა ნაკლებათ ინტერესებს ახალწვეულებს სხვა კუთხეებსა და რეებზე. საერთოდ, სამხედრო საქმესთან ერთად ყველაფერი ძლიერ აინტერესებთ ამხანაგებს.

სამხკორი **ნოე ლაკვეიშვილი.**

სალამო წარმოდგენა ახალწვეულეების ძალებით.

1-ლი ლეგიონის მე-9-რე ასეული

ამ დღეებში ასეულში გაიმართა დიდი სალამო-წარმოდგენა, რომელშიდაც დიდი მონაწილეობა მიიღეს ასეულის ახალწვეულებმა.

პირველად დაიდგა პიესა „პირველი ზარი" და შემდეგ ერთ მოქმედებიანი კომედია, რომელებიც ზედმიწევნით კარგად იქნენ ჩატარებული. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ახალწვეულები გამოვიდენ რევოლიუციონური ლექსებით.

დასასრულ გაიმართა ცეკვა-თამაში და ხალხური სიმღერები. უკანასკნელებმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მაყურებლებზე.

სალამოს დასასრულების შემდეგ ზამოვიდა პოლიტხელი კაკნაძე, რომელმაც განუმარტა ამხანაგებს თუ რა დანიშნულება აქვს ნაწილში კლუბს და რას ემსახურება ის. მან მოუწოდა ყველა ახალწვეულ არმიელებს ენერგიულად მოჰკიდონ ხელი საკლუბო მუშაობას და შეძლებისენ მის ხელმძღვანელებს დახურულ მიზნების მიღწევა, რაშიდაც ამხანაგებმა აღუთქვეს მუშაობა.

სამხკორი **ბ. ვარდია.**

უნდა გავხდეთ სამაგალითო მხედრები.

2 ე ლეგიონი.

ამ უკანასკნელად ლეგიონში ძლიერ გამოცოცხლდა მუშაობა. გაჩაღდა სამხედრო და პოლიტიკური საქმიანობა, წერა-კითხვის უცოდინარობის საწინააღმდეგო მუშაობა და სხვა.

სამხედრო საქმით ძლიერ დაინტერესებული არიან წ. არმიელები და დიდი ხალისიანობით ეკიდებიან მეცადინეობას.

მხოლოდ ერთი რამ აკლია ჩვენს ლეგიონს, რაც ძლიერ გვიშლის ხელს მუშაობაში. არა გვაქვს სავარჯიშო იარაღები. არ ექცევა ყურადღება აგრეთვე ფეხბურთელთა წრის მეცადინეობას. მართალია ხელმძღვანელი კარგი გვყავს, მაგრამ რა ქნას რომ არა აქვს საჭირო იარაღები. საჭიროა ყურადღების მოგვაქცევდენ ჩვენი უფროსები დაგვამაყოფილებდენ აუცილებელი სავარჯიშო იარაღებით.

სხვა მხრივ მეცადინეობა თავის დონეზე სდგას და თუ ზემო აღნიშნულ ნაკლულევანებებსაც მოუღებენ ბოლოს ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ სამაგალითო მხედრები.

წ. არმ. **ფარახელი.**

ჩვენი საქმიანობა.

ქვემო მაჩხაანის წერტი.

დღიდან წერტზე ჩასვლისა ჩვენ შეუდექით წვევამდლების აღრიცხვას და შემდეგ კი მზადებას, მოვაწყვეთ აღმასკომის დარბაზში ლენინის კუთხე სხვა და სხვა პლაკატებითა და სურათებით და სხ.

ამ ჟამად ლენკუთხეში მიმდინარეობს სისტემატიურათ სკოლის გარეშე მეცადინეობა. წვევამდელთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, მაგრამ დიდათ დაინტერესებულნი არიან, მოისმინონ სხვა და სხვა გვარი საუბრები წარსული რევოლიუციისა და საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

წვევამდელთა შორის ყოველდღე კეთდება სხვა და სხვა გვარი მოხსენებები და საუბრები უფროს პოლიტხელის მიერ. სხვათა შორის ამის წინად ასეულის მეთაურმა ამხ. ყურაშვილმა გააკეთა მოხსენება ტერიტორიალურ შეკრების და წვევამდელთა წერტებზე მეცადინეობის შესახებ. მომხსენებელს უამრავი შეკითხვები მისცეს დამწრე გლეხებმაც, რასაც მათთვის გასაგები ენით სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელმა.

ჩვენ უკვე გავაბით კავშირი გლეხობასთან, დაუახლოვდით მათ, ჩავებით და ვთანამშრომლობთ საკლუბო მუშაობაში, საბჭოების არჩევნებში და სხვა. წერტზე ჩამოვაყალიბეთ წვევამდელთა შორის ახ. ლ. კ. კ. კოლექტივიც, სადაც ნორმალურად მიმდინარეობს კომკავშირის კრებები.

სამხკორი **ბ**

მისაბაძი მაგალითი.

აბაშის წევრამდელთა წერტი.

ჩვენს წერტზე მეცადინეობა დაიწყო 1-ლ დეკემბერს. მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან ცუდი ამინდი იყო, წევრამდელთა უმრავლესობა მეცადინეობაზე პირველ დღესვე დაესწრო. შემდეგ მეცადინეობაზე კი თითქმის წევრამდელთა 97 პროც. ცხადდება.

წერტზედ მოეწყო ლენკუთხე, დრამწერე, რომელიც კვირას 20 დეკემბერს მართავს წარმოდგენას ქ. აბაშაში. მოწყობილია ბიბლიოთეკა, იქვე წერტის შენობის წინ ამხ. ანდრო გვახოკის სახელობის სამკითხველოს შენობაში. ეს უკანასკნელი წერტის გახსნამდე არ მოქმედობდა უსახსრობის გამო, მაგრამ ეხლა კი ამუშავდა ჩვენი დახმარებით. სამკითხველოსათვის გამოწერილია ქ. აბაშის სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან სხვა და სხვა გაზეთები, რაცხვით 7 ცალი რისთვისაც მთელი წევრამდელთა შემადგენლობა დიდ მადლობას უძღვნის ამ ორგანიზაციებს.

აღსანიშნავია, რომ ქ. აბაშის ყველა ორგანიზაციები ყოველ მხრივ ეხმარებიან წერტს. მის მოსაწყობათ არ დაიშურეს სხვა და სხვა პლაკატები, ბროშურები, სურათები და ჟურნალ გაზეთები. განსაკუთრებით წერტის მოწყობაში დიდი დვაწლი მიუძღვის ქალაქის აღმასკომს, კერძოთ კი მის თავმჯდომარეს ამხ. გედე კაპანაძეს, რომელიც არაფერს არ იშურებს წერტის მოსაწყობათ.

უსურვებთ სხვა აღმასკომებსაც ასეთი ენერგია გამოჩენოთ ტერიტორიებზე.

—ძე.

ღირსეული ცვლა.

ცალკე სხენოსანი ესკადრონი.

უკვე ერთი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც მეორე დივიზიონის ცალკა სხენოსანთა ესკადრონში დაიწყო 1904 წელში დაბადებულთა წევრამდე მზადება. წევრამდელებზე და მოქალაქეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს წერტზე წარმოებული მუშაობა. აქ შეკრებილი ახალგაზრდობას კარგათ აქვს შეგნებული, რომ ისინი ემზადებიან და იძენენ იმ საბრძოლო ცოდნას, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველი მოქალაქისათვის ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. ისინი დიდი ენერგიით და ხალისით ეპყრობიან ყოველ ვარჯიშს სწავლებას. უფროლიტ-შემდგენლობაც დიდ ენერგიას იჩენს მუშაობაში.

ყოველი საუბრის გატარების დროს წევრამდელები ღებულობენ მასში აქტიურ მონაწილეობას და გულდასმით უსმენენ მასწავლებლებს.

წევრამდელთა შორის მუშაობა იძლევა დიდ ნაყოფს, რაც იმის დამამტკიცებელია რომ ჩვენ ხასელოვან წითელ ლაშქარს უმზადდება ისეთი ცვლა, რომელიც შესძლებს მის რიგების შევსებას და მტკიცედ ყოფნას პროლეტარიატის სადარაჯოზედ.

კ. ქართველიშვილი.

ახალი ამბები.

— **რევოლიუციის მუზეუმში.** 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის გამო საქ. რევოლიუციის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა. წითელარმიელთა შესახლა—თუ ისინი ჯგუფებათ მოვიდნენ—უფასოა.

— **ახალი ქარხანა.** აფხაზეთის უმ. სამ. საბჭო შეუდგა სპირტის სახდელი ქარხნის მოწყობას სოხუმში.

— **მარგანეცის გატანა.** ამ უამად ჭიათურიდან ყოველდღიურათ გაიქვეთ 135 ვაგონი მარგანეცის მადანი.

— **ფოსტის შემოსავალი.** წელს ფოსტა-ტელეგრ. უწყებას ა.-კავკასიაში შემოსულია 5.5000.000 მანეთი, ანუ სამი მილიონით მეტი შარშანდელთან.

— **საფოსტო განყოფილებები.** ა.-კ. ფ.-ტ. სოლ-ქართ. კავშირი ხსნის საფოსტო განყოფილებებს თელავის მაზრის ორ სოფელში.

— **გზის შეკეთება.** საქ. გზატკეცილების სამმართველო ამ დღეებში დაასრულებს გზის შეკეთებას სენაკიდან ჰილენკოვომდე (შავი ზღვის სანაპირო გზატკეცილი).

— **საგაზეთო საქმის შესასწ ველათ** ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალურ ბიუროსთან ახლო ხანში მოეწყობა ცალკე წერტ.

— **წყალსადენის გაფართოება.** დასრულდა ელდანისა და ავჭალის წყაროების მთავარ წყალსადენთან შეერთება, ხსენებული წყაროები დღე-ღამეში მიაწვდიან ქალაქს 200 ათას ვედრო წყალს.

— **სოხუმში** გაიხსნა გრ. ხელ ავეჯეულობის ქარხანა.

ამგები სოფლებიდან.

კულტსაბჭოები სოფლად. ახალ ცხის აღმასკომის დადგენილებით, სოფლებში მოწყობილ კულტსაბჭოებში უნდა მეთაურობენ სოფლის მასწავლებლები, ქოხ-სამკითხველოს გამგე, თემიდმასკომის წარმომადგენელი და ადგ. ექიმი.

რკინის გზის საჭიროებისათვის შორაპნის მაზრის გლეხკომები ამზადებენ შპალებს.

საქონლის ჭირთან ბრძოლის მიზნით, გორის სამაზრო კომისია აწყობს სოფლებში საუბრებს გლეხებს შორის საქონლის ჭირის შესახებ.

თეატრი ბოდბისხევში. სოფ. ბოდბისხევის თეატრს, რომელიც კარგადაა მოწყობილი ეწოდა ვანო სარაჯიშვილის სახელი.

ტყეების გადაცემა. დუშეთის მაზრაში გლეხობას გადაეცა 7.334 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

ვინ იძინებს შემდეგი?

ვიწერთ გაზეთ „წითელ არმიელს“ შ. მესხი და სამხკომი. გ. ჭოხონელიძე 1-ლი ჩოხატაურის ცენტრალურ სამკითხველოსთვის და მეორე, ხიდისთავის სამკითხველოსათვის და ვიწვევთ შემდეგ ამხან. გებს:

ოზურგეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარეს გ. რამიშვილს. გურკომის მდივანს. გ. კვეჭაძეს. აღმასკომიდან კ. გურგენაძეს, პარტკომიდან 1) ს. მინდაძეს 2) მ. კილაძეს და 3) კ. უჯმაჯურიძეს.

კომკავშირიდან. გ. დოლიძეს და 2) მ. ჯაშს. ქალთა განყოფილებიდან—ალ. თალაკვაძეს. კომუნალურ განყოფილებიდან დ. ნიკოლაიშვილს. პროფ-კავშირიდან: ი. კალანდაძეს; განათლების ინსპექციიდან. მ. ლომთიძეს. ჯანმრთელობის განყოფილებიდან. თ. ჩიჩუას ფინ განდიდან—კ. დოლიძეს; განათლების მუშაკთა კავშირიდან. გერ. ჯიბლაძეს; ეპოდან. შ. გოგეშვილს; მილიციიდან. ლ. სოსელიას და პოლიტ-პიროდან, პ. ჯალაღანიას.

მე-3 ათასეულის თავი **შ. მესხი და სამხკომი გ. ჭოხონელიძე.**

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ ერთი წლით 1926 წ. პირველ იანვრიდან და ამავე მიზნისათვის ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

1. აღნიაშვილი, 2. მარქოროვი, 3. ქუთათელაძე, 4. კვირიკაძე, 5. გედევანოვი, 6. ბერაძე, 7. თავაძე გ., 8. დონაძე, 9. ბლუაშვილი, 10. მიქაძე დავითი 11. ასათიანი, 12. ფოფანა, 13. აბულეიანი, 14. უგლავა, 15. გრიგოლია, 16. ქადაგიშვილი, 17. ბელოვი, 18. ნანაძე, 19. შავდია, 20. ბაახია, 21. იოსელიანი, 22. ბარამიძე, 23. კუპრაშვილი, 24. თავართქილაძე, 25. კალანდაძე, 26. ელიაშვილი, 27. მგალობლიშვილი, 28. დემეტრაშვილი, 29. შოთაძე ვ. 30. თავაძე ა., 31. ჯაფანიძე დ., 32. ჯაფანიძე მ., 33. კვარაცხელია კ. 34. ყიფიანი თ., 35. ანდღულაძე, 36. მიქელაძე მ. 37. მელაძე დ., 38. გიორგობიანი ს., 39. გიორგობიანი მ, 40. ბერგაძე შ., 41 სახელაშვილი, 42. ოვანოვი, 43. გვახარია, 44. ყუფარაძე, 45. ანთაური, 46. აბაშიძე, ლ. 47. გოცხოთელიანი, 48. ცხვიტარიძე, 49. მეპუკე დავითი, 50. გეგელაშვილი მ., 51. ლომიძე ს., 52. ტიგიშვილი, 53. ლორთქიფანიძე დავითი, 54. კალანდაძე კაპიტონი და 55. ადამაძე ბარნაბა.

გაზეთი ერთი წლით ღირს 5 მანეთი და ფულის შეტანა შეიძლება შემდეგი მისამართით; ქ. თბილისი. ევანგულოვის ქუჩა № 2, გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქცია.

ნ. გამრეკლიძე

ამხ. შ. მოსეშვილის გამოწვევის გამო, ვიწერ წ. არმიელს ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. ლეო წერაძეს, 2. საშა მანინს, 3. ილია მახარაძეს 4. სერგო ბურჭულაძეს, 5. მიხაკო სიხარულიძეს და 6. მიშა კაბანცოვს.

გერასიმე ს. ბურჭულაძე

მე-2 არტლეგიონის მე-2 წერტის წევრამდელი ამხ. შ. მოსეშვილის გამოწვევით, ვიწერ გაზ. „წითელ არმიელს“ ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. მე-4 ლეგიონის მე-3 ათასეულის თავს ამხ. მეავნაძეს და 2. ამხ. კ. ლოლაძეს.

წევრამდელი საშა მეავნაძე

პასუხი შეკითხვებზე.

წევრამდელს. პარტსკოლაში მიღება იწყება აგვისტოდან. უნდა მიმართოდ თქვენს ამხკომს.

აბულაშვილს. სამღვინო კურსებზე სიარული შეგიძლიათ მხოლოდ თქვენი უფროსის ნებართვით.

უმცროს მეთაურს №. მაზარას აქვს ორი წლის ტარების ვადა, როცა ეს ვადა შეუსრულდება თქვენს მაზარას, მაშინ მოგეცემათ ახალი.

მტკვრისპირელს. მიმართედ მონადირეთა კავშირს საკითხის გამოსარკვევად.

აბ—შვილს. მიმართედ აღგილობრივ პარტორგანიზაციას.

გურგენიძეს. ჯამაგირების ახალი განაკვეთი ზ—ნშიც ვრცელდება სამხედრო პირებზე.

ზვიადაძეს. უნდა დაგითხოვონ უვადო შვებულებაში. აყვანილ იქნებით აღრიცხვაზე, როგორც ოცეულის თავი.

მიარაშვილს. სამსახურის გათავების შემდეგ შეგიძლიათ განაგრძოთ სწავლა.

ა—ჩეს. თუ სახლის პატრონმა საიჯარო პირობა დაარღვია, შეგიძლიათ სჩივარი შეიტანოთ სახალხო სასამართლოში.

მ. მა—ლიას. კადრის წ. ა., რომლებმაც შეასრულეს სამსახურის ვადა, მომავალ წელში საერთო ერთ თვიან შეკრებაზე გამოცხადება არ ეხებათ.

ამოცანა № 8*).

ყარაულები ყოველ დღე იცვლებიან. ახალ ყარაულებად განწესება განსაზღვრულ დროსა და აგილზე ხდება.

როდის (რა მომენტში) გადადის ყარაულების მორიგე განკარგულებაში ახალი ყარაულების მთელი შემადგენლობა და რა მომენტის შემდეგაა ყარაულის მორიგე პასუხისმგებელი თავიანთ ყარაულების მოქმედებაში?

*) ამხნა გამოგზავნეთ!

პასუხად სამხკომ „მე ვარ“-ს.

ამა წლის 23 დეკემბრის რეცხვით გაზ. „წითელ არმიელ“-ს № 990-ში მოთავსებულია სამხკომ „მე ვარ“-ის წერილი „მოგვეცით ბიბლიოთეკაში სიარულის ნება“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ „1-ლ საარტილერიო ლეგიონის მესამე ბატარეის ერთი ჯგუფი მეცადინობს ბიბლიოთეკაში და ჩვენ საშვალება არა გვაქვს ბიბლიოთეკაში გაზეთების კითხვისო“.

უნდა იცოდეს ამხანაგმა სამხკომმა, რომ მესამე ბატარეიაში ხალხის სიმრავლის გამო, არის ოთხი ჯგუფი, მაშინ როდესაც სხვა ბატარეებში კი—სამი. თუმცა სამკითხველოში ერთი ჯგუფის მოთავსება აუცილებლობით არის გამოწვეული, რადგან მესამე ბატარეია ყველა ჯგუფებს ვერ იტევს, მაგრამ ეს ხელს არავის არ უშლის, ვინაიდან პოლიტ-მეცადინეობის დროს ე. ი. 8-დან 10 საათამდე, როგორც წარმოიელები, ისე მეთაურთა შემადგენლობა პოლიტ-მეცადინეობაზე იმყოფებიან.

იმდენი საკითხი: ვინ არის თავისუფალი ამ დროს, რომ ბიბლიოთეკაში შევიდეს და გაზეთი ან წიგნი წაიკითხოს? რა თქმა უნდა არავინ, გარდა ბიბლიოთეკის გამგისა.

დანაშაულობად არ უნდა ჩაგვთვალოს, რომ ასეთ საათებში ბიბლიოთეკა გამოვიყენოთ სამეცადინოთ, როცა სხვა საშვალება არა გვაქვს.

სამხკომი **ნიუარაძე.**

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ბ—ლ-ს (2-რე ლეგიონი) თქვენი კორესპონდენცია „ნუ გვაყურებიებთ საცოდაობისათვის“ გადაეგზავნა ლეგიონის უფროსს.

ამხ. ა. კვიკვიძეს (მეთაურთა სკოლა) თქვენი შენიშვნა განათების შესახებ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამხ. არუთინოვს წერილი ვაჭრის წევრამდელთა შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. კუპავას. (1-ლი ლეგ.) თქვენი წერილები არც ერთი არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

ამხ. მეგობარს. (2-რე მესანგრ.) თქვენი წერილი სრულიად გაუგებარია. სწერეთ გარკვეულად.

ამხ. ცაგარეიშვილს. (1-ლ არტლეგ.) წერილი „1905 წ. რევოლიუციის 20 წ. თავის შესახებ“ არ გვაქვს იყო ასეთი.

ამხ. მუშკუნას. (პოლიტსკოლა) წერილები „საჭიროა ყურადღება“ და „ამალა ყინწობა საჭირო არ არის“ გაუშვით კედლის გაზეთში. 1905 წ. რევოლიუციის შესახებ კი თქვენი სკოლიდან იყო. მეორედ არ გვაქვს.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-3 კომუჯრედში, შემტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში წევრად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

კ. პ. კანდიდატს: 1. შავიანაც პეტრეს.

კანდიდატთ.

1. ჩიკვაიძე ალექსანდრეს (მეთაური უპარტიო), 2, სიდავა მიხეილს (წ. არ. კომკავშირის წევრი) და 3. ჯიშკარიანი ესტატეს (წ. არ. კომკავშირის წევრი).

ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი მიღების შესახებ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება წერილობით ან გვაცნობოთ სიტყვიერათ მე-3 ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედისპას. მგ.

მდივანი **კ. ჭიჯაია**

მე-2 ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-2 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები უპარტიო ამხანაგებს კომპარტიის კანდიდატთ მიღების შესახებ: 1) ვლადიმერ კოხტაძე რურუას და 2) ალექსანდრე ბესარიონის ძე ბუაძეს. გთხოვთ თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით მათ შესახებ გვაცნობოთ მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-2 კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი **კაკაბაძე.**

1925 წელი სრულდება.

წითელ არმიელებო!

დააჩქარეთ ხელის მოწერა „გაზეთ „წითელი არმიელზე“

1926 წლისათვის.